სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

10/02/2026

MES 3 26 0000139773

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2026 წლის 9 იანვრის MES 3 26 00001.1/1 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2025-2026 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (https://students.emis.ge) რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, მობილობისათვის საჭირო დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2026 წლის 16 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით. საბუთები

მიიღება 10^{00} სთ-დან - 16^{00} სთ-მდე; მისამართი: თბილისი; კოსტავას 77; ადმინისტრციული კორპუსი; მე-3 სართული; ოთახი 334;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურს;
4. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტისა და დიზანის საერთაშორისო სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის ჩატარდეს გასაუბრება საფაკულტეტო კომისიის წინაშე (დანართი 2);
5. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით(დანართი 3);
6. დაევალოს სტუ-ის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 4), შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა და ბრძანების პროექტის (დანართი 5) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენა არაუგვიანეს 2026 წლის 19 თებერვლისა;
7. 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა არაუგვიანეს 2026 წლის 20 თებერვლისა;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი თამარ წერეთელი